

**სამაგისტრო პროგრამა:**

- ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია:**

- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში (MBA in Management)

**პროგრამის მოცულობა:**

- 120 კრედიტი (ECTS)

**პროგრამის საფასური:**

- 2250 ლარი

**პროგრამის სტატუსი:**

- აკრედიტებული

**პროგრამაში შემავალი კომპონენტები:**

- სასწავლო კომპონენტი - სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები;
- სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი;

პროგრამა, არის უნიკალური, რადგან ახდენს ორი სფეროს ბიზნესისა და ტექნოლოგიების სინთეზს. პროგრამის მიზანია:

- მოგამზადოთ ბიზნესის ადმინისტრირებაში სიღრმისეული ცოდნის მქონე პროფესიონალად;
- მოგცეთ კომპეტენცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესის ეფექტურად და ეფექტიანად მართვისათვის;
- შეგძინოთ უნარები, მაღალტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, შეძლოთ ინოვაციური ბიზნეს პროექტების ინიცირება და მართვა, საწარმოო პროცესების დაგეგმვა, შეფასება და კონტროლი.



## **ბიზნესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის საშუალებით:**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

იმისათვის, რომ მაგისტრანტობის მსურველმა ჩააბაროს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში წარმატებით უნდა გაიაროს სამი საგამოცდო ეტაპი:

საერთო სამაგისტრო გამოცდის (ტესტის ტიპი B) ოთხი კომპონენტიდან გადალახოს სამი კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

1. ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ან წარმოადგინოს B2 დონის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი.
2. ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

### **გაცვლითი პროგრამები**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა სამსახური უზრუნველყოფს ყველა საფეხურის სტუდენტის ჩართულობას გაცვლით პროგრამებში. გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა სტუდენტებს შეუძლიათ როგორც ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში. არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები, სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები.

### **სწავლის დაფინანსება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში**

- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი;
- საუნივერსიტეტო სტიპენდია;

### **კარიერა**

უნიკალური საგანმანათლებლო გამოცდილება, უახლესი ციფრული ტექნოლოგიები გამოყენებული სწავლების პროცესში, მეწარმეობაზე დაფუძნებული სწავლება, ორი დარგის - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ინტეგრირება, სფეროს მოწინავე ექსპერტი პროფესორ/მასწავლებლები, უახლესი, ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, დასაქმების მრავალმილიონიანი პორტალი.

საკუთარი სტარტაპის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა, მსოფლიოს ლიდერი პარტნიორი კომპანიები და მრავალი სხვა შესაძლებლობის გამოყენება, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შეუძლია.

სასწავლო პროგრამები აგებულია აკადემიური და საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად.

პირველივე სემესტრიდან, ნებისმიერი დისციპლინის სტუდენტისთვის, ინოვაციური პოტენციალის წახალისება უნივერსიტეტში მიმდინარე პროექტებში ინტენსიური ჩართულობით ხდება.

სტუდენტის კარიერული წინსვლის ხელშეწყობა ჩვენი კარიერული განვითარების ცენტრის მთავარი მიზანია. ჩვენ მუდმივად ვადევნებთ თვალს სტუდენტის წინსვლას, მის აკადემიურ მოსწრებას, ვადგენთ სემესტრულ სტუდენტურ რეიტინგებს, სოციალურ პროგრამებს და ვურჩევთ მათ ახალ, პერსპექტიულ სამუშაო პოზიციებს.


## კამპუსი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი მდებარეობს თბილისის ცენტრში, ბაგებში, ეკოლოგიურად სუფთა ადგილას. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია თანამედროვე ციფრული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, ბიზნეს აქსელერატორი და ინკუბატორი, სპორტული კომპლექსი. ჩვენ სტუდენტებს აქვთ ექსკლუზიური წვდომა სილიკონ ველი თბილისის სამუშაო სივრცესთან. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს საფეხბურთო მოედანი, საცურაო აუზი, ავტო და ველოპარკინგი.

ჩვენი ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებთან.

## ჩვენი გუნდი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია მსოფლიოს წამყვანი, მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებით, საქართველოში არსებული უმსხვილესი ორგანიზაციების ტოპ მენეჯმენტით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გადავცეთ სტუდენტებს მეტი ცოდნა და გამოცდილება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი შედგება განათლების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალებისგან, რომელთაც უწყვეტი კომუნიკაცია აქვთ აბიტურიენტებსა და სტუდენტებთან.



# MBA დაქვორები



## „დაასაქმე სმარტსტუდენტი“

„სმარტსტუდენტი“ - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროექტია, რომელიც სტუდენტებს დასაქმების უნიკალურ საშუალებას სთავაზობს. პროექტის ფარგლებში, მსოფლიოს წამყვანი ბრენდები ტექნოლოგიების და ბიზნესის მიმართულებით ავსებენ გუნდს ახალი, სხარტი და ინოვაციური იდეების მქონე BTU-ს სტუდენტებით. ორგანიზაციები სმარტსტუდენტებს კომპანიაში მიმდინარე პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციაში ჩართავენ.

## სტუდენტური სტარტაპები

მასშტაბურ ღონისძიება, სადაც ინვესტორებსა და ფონდების, პარტნიორი ორგანიზაციების წინაშე, ჩვენი სტუდენტები მაღალტექნოლოგიური სტარტაპ იდეებით წარსდგებიან. საინტერესო სტარტაპ იდეის მქონე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სილიკონ ველი თბილისის სამუშაო სივრცე, დაკომპლექტებული ბიზნეს ტრენერებით, კონსულტანტებითა და მენტორებით. ჩვენ ვუზრუნველვყოფთ სტუდენტური ბიზნესის განვითარებას იდეიდან კომერციალიზაციამდე, მისი განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოძიებასა და ბიზნესის მდგრადობის მხარდაჭერას.

## შეთავაზება მაგისტრატურაზე ჩაბარების მსურველთათვის

საერთო სამაგისტრო გამოცდების მოსამზადებელი ტრენინგები მაგისტრატურაზე ჩაბარების მსურველთათვის სრული დაფინანსებით . ტრენინგი ხორციელდება განათლების ცენტრ „რენომესთან“ ერთად და არის მეცნიერებათა დოქტორის, მარი დგებუაძის საავტორო პროგრამით შედგენილი.

ტრენინგები ტარდება მარტში, აპრილში, მაისში და ივნისში და მოიცავს გამოცდით მოთხოვნილი ყველა ტიპის დავალებების და სავარჯიშოების ამოხსნის ხერხებს (80 ამოცანა ლოგიკურ და რაოდენობრივ მსჯელობაში), აკადემიური ტექსტების კითხვის სტრატეგიებს და სწრაფად სწორი პასუხების მიგნების გზებს. აკადემიური ტიპის ნაშრომების შედგენის პრინციპებს და "ანალიტიკური წერა"-ს ნაწილის ყველა დეტალს.

ოთხივე კომპონენტის ტრენინგს ეთმობა 8 საათი. კომპონენტებია: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.



## კავშირი ინდუსტრიასთან

უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე, ვთანამშრომლობთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე 100-ზე მეტ ორგანიზაციასთან: HP, Hewlett Packard, Microsoft, IBM, DELL, Bitfury, MUK, Softline, Softmaster, Mercedes Benz, McCANN, BDO, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალიტრა ჰოლდინგი, საქართველოს რკინიგზა და სხვა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებთან.

საქართველოში არსებულ დიპლომატიურ კორპუსთან მჭიდრო კავშირი შესაძლებლობას გვაძლევს ჩავრთოთ სტუდენტები მეტ გაცვლით პროგრამასა და საერთაშორისო პროექტებში და მოვახდინოთ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, სასწავლო-კვლევითი მიზნებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს მაღალტექნოლოგიური ციფრული ლაბორატორიები, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოს უახლესი მიღწევები პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული სისტემების მიმართულებით. განათლებისა და ტექნოლოგიების საბჭოს წევრი კომპანიების მხარდაჭერა, მათ მიერ ჩვენი სტუდენტებისთვის მოწოდებული მუდმივად განახლებული სასწავლო მასალები, ისრაელის ტექნოლოგიური ჰაბი და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩვენ სტუდენტებს ინდუსტრიის განვითარების პროცესის უშუალო მონაწილედ აქცევს, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათი წარმატებისთვის.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, პირველივე სემესტრიდან საჩუქრად იღებს დეველოპერულ პაკეტს, რითიც ეხსნება წვდომა მსოფლიოს საუკეთესო დეველოპერულ ინსტრუმენტებზე.

## თბილისის მერიის ბიზნეს აქსელერატორი „სპარკი“

თბილისის მერიის და ევროკავშირის ერთობლივი პროექტი - “სპარკი” და BTU პროექტის ფარგლებში ახალ აქტივობებს ერთობლივად განახორციელებენ. აქტივობები სტუდენტური სტარტაპ იდეების აქსელერაციას, სტარტაპების დემო დღეზე მონაწილეობას, სწავლების მოდულის ახალი ლიტერატურული რესურსებით მხარდაჭერას და მოდულის სწავლებისთვის აკადემიური გუნდის სისტემატიურ შევსებას მოიცავს.

## საქართველოს ბანკის“ BOG Fintech

საქართველოს ბანკის“ BOG Fintech-ი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პარტნიორია. თანამშრომლობა ბანკსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შორის ფინტექის მიმართულებით ახალი, ინოვაციური პროდუქტებისა და გადაწყვეტილებების განვითარებას, სტუდენტებისთვის მენტორობის პროგრამის ამოქმედებას, მათ გადამზადებას და საზაფხულო პროგრამებში ჩართვას გულისხმობს.

## MIT გლობალური სტარტაპ ლაბი BTU-ში

პირველად რეგიონში, მხოლოდ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, მსოფლიოს ტოპ სამეულში შესული, ყველაზე მაღალრეიტინგული - მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი MIT, გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამას ახორციელებს. MIT-ს გუნდი, გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამის ფარგლებში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის საუკეთესო გუნდს არჩევს და მათი სტარტაპების კომერციალიზაციის მიმართულებით მუშაობს. პროგრამის პირველი ეტაპი 2019 წლის ზაფხულში ხორციელდება.

MIT-ს გუნდი უზრუნველყოფს მსოფლიოში არსებული უახლესი ტექნოლოგიური მიღწევებით სწავლებას, ვენჩურული გამოცდილების გაზიარებას და სტუდენტთა სამეწარმეო უნარების გაღრმავებას. MIT-ს გლობალური სტარტაპ ლაბის შექმნის მიზანია გააჩინოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის მსოფლიოში საუკეთესო ტექნოლოგიური მეწარმეები.

## HP Life

უფასო ონლაინ ბიზნეს კურსი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ხორციელდება HP foundation- ის მხარდაჭერით. კურსის მიზანია, სწრაფად და მარტივად დაეხმაროს დამწყებ თუ უკვე გამოცდილ მეწარმეს, ბიზნესის განვითარებაში და ტექნოლოგიური უნარჩვევების გამომუშავებაში. კურსი მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, რომელიც ცოდნაც აუცილებელია ბიზნესისთვის.

**სილიკონ ველი თბილისის და ისრაელის სილიკონ ვადის პარტნიორობის ფარგლებში გლობალური სტარტაპ ფონდი საქართველოში გაიხსნა და ქართველ სტარტაპებს მრავალმილიონიან ინვესტიციასთან გაუხსნა წვდომა.**

ფონდის მიზანი საქართველოს სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმულირების პროცესის მხარდაჭერა, მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური სტარტაპების აღმოჩენა და მათი საერთაშორისო ბაზარზე კომერციალიზაციის ხელშეწყობაა.

ისრაელის სილიკონ ვადის ინვესტორების მიერ, კაპიტალის ინვესტირება განხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე მყოფ სტარტაპში, რომელიც მუშაობს აქტუალური ტექტრენდების ინდუსტრიაში: ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება, ციფრული მედია, ელექტრონული კომერცია, მობილური აპლიკაციები, ფინტექი, P2P პლატფორმები, ვირტუალური და გაფართოებული რეალობა, თამაშების ინდუსტრია, ნივთების ინტერნეტი IoT, ბლოკჩეინი. განიხილება აგრეთვე სხვა ინდუსტრიაში არსებული, გამორჩეული და ინოვაციური სტარტაპების დაფინანსების შესაძლებლობებიც.

გლობალური სტარტაპ ფონდის მხარდამჭერია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც აგრეთვე განიხილავს შერჩეული სტარტაპების დაფინანსების შესაძლებლობებს, Dollar to Dollar Basis ინიციატივის ფარგლებში.

## შესაძლებლობა BTU-ს სტუდენტს პირველივე დღიდან

- GitHub

სასწავლო და სატრენინგო მასალები, წვდომარუბლოვან აპლიკაციებსა და ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის მონიტორინგი, მონაცემთა ანალიზისა და ვიზუალიზაციის ბაზები და სხვა მრავალი შესაძლებლობა იმ დეველოპერულ პაკეტში შედის, რომელსაც ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი მიიღებს. აღნიშნულ პლატფორმაზე წვდომა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს გაეხსნა. შედეგად უფასო წვდომას მსოფლიოს საუკეთესო დეველოპერულ ინსტრუმენტებთან ერთ სივრცეში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ყველა სტუდენტი, აშშ-ში დაფუძნებულ საერთაშორისო ორგანიზაცია GitHub-თან პარტნიორობის ფარგლებში მიიღებს. აღნიშნულ სიახლეს სტუდენტებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან დეველოპერებისთვის საჭირო რესურსები ხშირ შემთხვევაში ძვირადღირებული და რთულად მოსაპოვებელია ხოლმე.

- Amazon web services

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის: 100\$ კრედიტი AWS ანგარიშზე ყოველ სტუდენტს, ყოველ წლიურად.

სწავლება: უფასო წვდომა AWS ტექნიკური საწყისების ტრენინგზე (600\$ ღირებულების), უფასო წვდომა ლაბორატორიებზე.

მასალები: პერსონალიზირებული სწავლების გზამკვლევი, 30-ზე მეტი საათი მასალით ყოველ გზაზე, ციფრული ბეიჯების მინიჭება, რომელიც აჩვენებს თქვენს ღრუბლოვან უნარებს, უფასო წვდომა AWS მასალებზე საშინაო დაველებების, ლაბორატორიული სამუშაოსთვის ან თვით განათლებისთვის, კოლაბორაციის ხელსაწყოები, სტუდენტურ პორტალზე წვდომა, სტუდენტური პორტფოლიო პროექტების ერთად, თავმოყრისა და შენახვისთვის, წვდომა დასაქმების დაფასთან.

- **IBM Bluemix**

სტუდენტური სტარტაპების ტექნოლოგიური სრულყოფისთვის, უნიკალურ პლატფორმა, IBM Bluemix აერთიანებს 16 სხვადასხვა კატეგორიის 100-ზე მეტი სააპლიკაციო პროგრამირების ინტერფეისს და საშუალებას აძლევს ჩვენს ყველა სტუდენტს უფასოდ ისარგებლოს პროდუქტებით, შეისწავლოს და იმუშაოს შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: ხელოვნური ინტელექტი IBM Watson Studio, ნივთების ინტერნეტი IoT, კიბერუსაფრთხოება, მეგამონაცემთა ანალიტიკა და სხვა. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საკუთარი პროგრამირების ენა, იმუშაოს საკუთარ არქიტექტურაში, მიიღოს საკუთარი დიზაინის გადაწყვეტილება და შექმნას საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული, მაღალტექნოლოგიური სტარტაპი.

- **SYNTAX-ის სასაერთიფიკატო პროგრამა**

მხოლოდ ჩვენი მაგისტრატურის სტუდენტებისათვის კომპანია SYNTAX-თან პარტნიორობის ფარგლებში ტარდება სასაერთიფიკატო პროგრამა. მონაწილე სტუდენტები შეისწავლიან თუ როგორ მართონ სამუშაო პროცესები ტექნოლოგიების გამოყენებით და ამასთანავე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

- **ტრენინგი - „როგორ დაწეროთ სამაგისტრო ნაშრომი“**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სთავაზობს ტრენინგებს სამაგისტრო ნაშრომის დაწერასთან დაკავშირებით. ტრენინგი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად და მოიცავს ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს, რაც საჭიროა სამაგისტრო ნაშრომის შექმნისათვის.

- **ელექტრონული ბაზების გამოყენების ტრენინგი**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს პერიოდულად ემატება ახალი სამეცნიერო ბაზები. მაგისტრატურის სტუდენტებისთვის კი მუდმივად მიმდინარეობს ელექტრონული ბაზების გამოყენების ტრენინგი.